განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღებისმიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (მუხლი24 და მუხლი91)შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

(პირველი წარდგენა)

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2026 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი ნომინალურ გამოხატულებაში 45.560.000 ლარს შეადგენს.

<u>2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:</u>

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 39.060.000 ლარით;

2025 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით **დღგ** გაზრდილია 7,3%-ით (2. 665.600 ლარით). (საფუძველი :საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ/წლის 02.10.წერილი N04-03/69773) აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლებელია დაკორექტირდეს დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.

- ***ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6.500.000 ლარს;***

2025 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის ბიუჯეტით საპროგნოზო ოდენობა ქონების გადასახადის სახეში 8,3%-ითაა ზრდადი(კლება 600 000 ლარით)

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გრანტებისა და სხვა შემოსავლების გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **ბიუჯეტის გრანტები** ჯამურად განისაზღვრება 47.432.300 ლარით. მათ შორის:

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი **17.935. 900** ლარი;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი **29.117. 700** ლარი;

✓ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები -**378.700** ლარი;

2025 წლის თავდაპირველი პერიოდის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ჯამურად გრანტები 7,8%-ით (3.432. 300 ლარით) ზრდაშია.

- **სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 5 014 000 ლარის ოდენობით;**

2026 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები 2025 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ჯამურად 8% ით ზრდაშია . ცალკეული მოსაკრებლის სახეების მიხედვით თუ განვიხილავთ ,მაჩვენებლები შემდეგნა ირადაა წარმოდგენილი**:**

- **პროცენტები 150000 ლარი.**

მ/წლის ფაქტიური შემოსავლების გათვალისწინებით 2025 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები კლებით განისაზღვრა .

- **რენტა 602000 ლარი; (9,5 %იან ზრდაშია)**

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 053 100 ლარის ოდენობით , გასული წლის თავდაპირველ მაჩვენებელთან მიმართებაში იდენტური ოდენობით განისაზღვრა. მათ შორის:**

- სანებართვო მოსაკრებლები 573000ლარი;(წინა წლების ფაქტიური შემოსულობების გათვალისწინებით და სამომავლო პროგნოზის გათვალისწინებით შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებაში 10,6%ით კლებადია)

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 450 000 ლარი;(გასული წლის თავდაპირველ მაჩვენებელთან მიმართებასი 19,8% ით ზრდადია)

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება განისაზღვრა 30 000 ლარი;(გასული წლის თავდაპირველი მაჩვენებლთან მიმართებაში კლებაშია 20 000 ლარით გ/წელთან)

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2 900.000 ლარის** ოდენობით(გასული წლის დამტკიცებული ბიუჯეტის თავდაპირველი მაჩვენებლთან მიმართებაში 16 %იან ზრდაშია, გათვალისწინებულია წინა წლების მზარდი ფაქტიური შემოსულობების მაჩვენებელიც.)

- **შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 309500 ლარი;** (გათვალისწინებულია მ/ წლის ფაქტიური შემოსულობის მაჩვენებელი და გასული წლის შესაბამისი პერიოდში ბიუჯეტის მაჩვენებელტან იდენტურია.)

- **გარდამავალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი (ვალუტა / დეპოზიტები) განისაზღვრა 150 000 ლარით;**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 98.156.900 ლარს (2025 წლის შესაბამისი სასტარტო პერიოდის ბიუჯეტის დამტკიცებულ გადასახდელებთან მიმართებაში ზრდადია 6 .101.900 ლარით. (ზრდა 6,6 %)

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მუნიციპალიტეტში : **1**)პროგრამული ბიუჯეტის სხვადასხვა სფეროებში ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტული პროგრამების, მიმდინარე და კაპიტალური შინაარსიის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებებისათვის განკუთვნილი ასიგნებების ზრდით. 2)მუნიციპალიტეტის ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების 10% იანი ზრდით 2026 წლის 01 იანვრიდან . 3)როგორც მუნიციპალიტეტის მერიაში ,ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად საჯარო მოხელეთა და პოლიტიკურ თანამდებობათა პირების საბაზო თანამდებობრივი სარგოს (10%) ზრდით (2026წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმებისა და საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომისანაზღაურების შესახებ“შესაბამისად.)

<u>2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია ხარჯები შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით :</u>

- **პროგრამული კოდი 02.02. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - განისაზღვრა 38.138.900 ლარით;**

აღნიშნული პროგრამული კოდით გათვალისწინებული 2026 წლის საბიუჯეტო მაჩვენებელი 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 7.384.800 ლარით კლებაშია. (კლება 16,2%)

- ✓ ***<u>პროგრამული კოდი 02.01.</u> -- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - განისაზღვრა 13.123.079 ლარით; (2025 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტთან 16.361.273 ლართან მიმართებაში კლებაშია 3.238.194 ლარით (19,8%)***

- ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, განხორციელდება საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნები და ორმული შეკეთებები , აგრეთვე 2026 წელშიც გაგრძელდება გაზრდილი ბიუჯეტური ხარჯებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. როგორც წინა წლებში ასევე მომავალი წლისათვის დაგეგმილია მდინარეების შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები ანუ იქნება გასწორხაზოვნებული მდინარეებს კალაპოტი.გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება და გაფართოებული გარე განათების ქსელი კვლავ არის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი , რისთვისაც გათვალისწინებულია გარე განათების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) წერტების მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; დაგეგმილია დამატებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით კვლავ გაგრძელდება ფერდსამაგრი სამუშოების ჩატარება.

<u>ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები თანხობრივად შემდეგნაირადაა წარმოდგენილი</u> :

- **ქ. ქობულეთში, ბაგრატიონის ქუჩის (გაგრძელება) კეთილმოწყობა** -- 1104162 ლარი; აღნიშნული ქუჩის დარჩენილი მონაკვეთი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერით დაფინანსდება პროექტი.
- **ქ. ქობულეთში გზებზე ასფალტის საფარის ორმული შეკეთება**-60 000ლარი;
- **საგზაო მონიშვნები** - 40 000 ლარი;
- **ქ. ქობულეთში, თბილისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები** - 290.650ლარი; აღნიშნული ქუჩა ეკუთვნის ქალაქის ტურისტურად დატვირთულ უბანს, რისთვისაც მნიშვნელოვანია მისი რეაბილიტაცია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერით დაფინანსდება პროექტი.
- **ვიდეოკამერების ექსპლოატაცია** - 405.200 ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა ტიპის ვიდესამეთვალყურეო კამერები მუდმივად საჭიროებენ მოვლა პატრონობას.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები** განხორციელდება - 2.500.000 ლარით; პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერით დაფინანსდება .
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერისა და საგზაო ნიშნების მოწყობა** 150 000 ლარი; მოძრაობის ზოლებში უსაფრთხო გადადგილების უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების არსებობა.
- **ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №530-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების** განხორციელებისათვის გათვალისწინებულია --230.572 ლარი; (აღნიშნული გადასასვლელი სანაპირო ზოლთან დამაკავშირებელი ლოკაციაა, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას. პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერით დაფინანსდება .
- **ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირის N86-ის მიმდებარედ გზის გამყოფისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა** --549.855 ლარი; (გარდამავალი 2025-2026 წლის პროექტი (პროექტის ღირებულება დამინუსებულია მ/წლის სავარაუდო ათვისების შესაბამისად. (პროექტის დაფინანსება გააგრძელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში .)
- **დაბა ჩაქვში, ნინოშვილის ქუჩა N-10-ში ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა** - 85.540ლარი; აღნიშნული გადასასვლელი ჩაქვის სანაპირო ზოლთან დამაკავშირებელი ლოკაციაა, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას.(პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერით დაფინანსდება.)
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნებისათვის** გათვალისწნებულია – 50.000 ლარი;
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობაზე** მუნიციპალიტეტის სუბსიდია - 1.832.500 ლარია; (გასული წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯტთან მიმართებაში ზრდადია 281945 ლარით);
- **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებულია** - 1.824.600 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების ახალი წერტების მოწყობისათვის საპროგნოზო ხარჯებია - 274.600 ლარი; (აჭ. ავტ.ბიუჯეტი)
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები დაგეგმილია - 4.000.000 ლარით; (გასული წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში კლებადია 2.800.000 ლარით); პროექტის განხორციელება შესაძლებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი სპეციალური ტრანსფერით.

✓ **პროგრამული კოდი-- 02.02. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 13.624.233 ლარი; (2025 წლის შესაბამისი სფეროს თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტთან 11.723.957 ლართან მიმართებაში ზრდადია 1.900.276 ლარით .**

მოწესრიგდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ,ეზოს სკვერები და მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, 2026 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები/სკვერები.

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების მიზნით განხორციელდება 1.268.550ლარის ინფრასტრუქტურული პროექტი** ; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები უმეტეს შემთხვევაში საჭიროებენ მოძველებული ინფრასტრუქტურის აღდგენას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში თავიდან მოწყობას. როგორც სკვერის, ასევე ეზოს მოპირკეთების სამუშაოების ნაწილში.(ქ.ქობულეთში, თავისუფლების

ქუჩა N-15, ქობულეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ჩაქვში წერეთლის ქ.N5-ში (დევნილთა დასახლება) ეზო, ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N-94ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო/სკვერი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ თეთროსანში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერი, ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N215 ა-ში (ყოფილი ივერიის ბინები) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო/სკვერი). (აჭ. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი)

- **წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის მიმართულებით დაიხარჯება ჯამურად - 10.341.769 ლარი ,როგორც ინფრასტრუქტურის ნაწილში ასევე მხარჯავი დაწესებულებების სუბსიდირებისათვის. ;(ზრდა შეადგენს 2.717.572. ლარს . ზრდა 35,6%).**

  - **სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა** დაგეგმილია - 1 800 000 ლარით; პროექტით სულ სამ სოფელში(სოფ.ციხისძირი, სოფელი ალამბარი, სოფელი მუხაესტატე) ჭაბურღილების მოწყობის ხარჯზე გამოსწორდება სასმელი წყლის მიწოდების დროს წყლის დებეტის ნაკლებობით გამოწვეული ხარვეზი და უზრუნველყოფილი იქნება მიწოდების რეგულარობა.პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელდება.

  - **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და სასმელი წყლის მოწყობა/რეაბილიტაცია დაგეგმილია** - 3.939.493 ლარით. აღნიშნული პროექტი მოიცავს რიგი ღონისძიებების ერთობლიობას: კერძოდ სამ სოფელში(სოფელ ლეღვაში, ბობოყვათსა და ზედა სამებაში) მოხდება შიდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და ამით დასრულდება მ/წელს დაწყებული მოსახლეობამდე წყლის უზრუნველყოფის სამუშაოები. ამავე დროს ცალკეულ ლოკაციების მიხედვით მოხდება სალექარების, რეზერვუარების და შემკრები კაპტაჟების და ფილტრების მშენებლობა რეაბილიტაცია. ჯამურად 10-ზე მეტ სოფელს მოუწესრიგდება წყლის სისტემა.(აჭ.ავტ.რესპ. რესპუბლიკური ბიუჯეტი)

  - **ქ. ქობულეთში წყალარინების მე-3 სატუმბი სადგურისათვის ჩაძირული ფეკალური ტუმბოს (3 ერთეული) შეძენა მონტაჟისათვის** გათვალისწინებულია -171.600 ლარი; აღნიშნული ტუმბოები გამოსულია მწყობრიდან, რაც საჭიროებს ახლით ჩანაცვლებას.(აჭ. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი).

  - **შპს "ქობულეთის წყალი"ს** სუბსიდირება გათვალისწინებულია – 1.823.376 ლარით; (133.666 ლარით მეტი 2025 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში).ამავე დროს აღნიშნულ დაქვემდებარებულ დაწესებულებას აქვს წლის განმავლობაში მისაღები საკუთარი შემოსავლებიც. რაც წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად შეადგენს 2.069.036 ლარს.(399.100ლარით მეტი. 19,3% ზრდა) მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ისეთი ძირიტადი ხარჯების სუბსიდირებას როგორიცაა: დახარჯული ელეტროენერგიის ხარჯების სუბსიდირება, მცირეფასიანი მასალების შესასყიდი ხარჯები,თუქის ცხაურებისა და ლუქების შეძენის ხარჯები, აუდიტორული მომსახურების ხარჯებსა და მარილისა და ნატრიუმის ქლორიდის შესყიდვის ხარჯებს.

  - **ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი"ს** დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია – 2.607.300 ლარი; (10600 ლარით მეტი 2025 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში).ბიუჯეტი დააფინანსებს დაქვემდებარებული დაწესებულების ფუნქციონირებისატვის ყველა საჭირო ხარჯს და მასთან ერთად სოფლებში წყალმომარაგების გამართულად მუშაობასთან დაკავშირებულ საჭირო დანახარჯებს.

- **სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვაზე გასაწევი ხარჯების საპროგნოზო ოდენობა შეადგენს ჯამურად - 1.797.754 ლარს; (1.186.414** ლარით მეტი 2025წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში)

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების დასრულების მიზნით გათვალისწინებულია -- 1. 641.754 ლარი; გარდამავალი 2025 წ-2026 წლის პროექტი. სრულდება 2026 წლის ბოლოს (პროექტის ღირებულება დამინუსებულია მ/წლის სავარაუდო ათვისების შესაბამისად)დაფინანსდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.
- ქ. ქობულეთში სანიაღვრე სისტემის სატუმბი სადგურისათვის დიზელ-გენერატორის შეძენა-მონტაჟი- გათვალისწინებულია 106.000 ლარით; სადგურის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭიროა დიზელ-გენერატორის შეძენა (რესპუბლიკური ბიუჯეტი)
- სანიაღვრე მილების შეძენა --- 50 000 ლარი;

➢ **უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი** - 50 000 ლარი; ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უწებართვო, უსახური და ამორტიზირებული შეწობა- წაგებობების (მიშენებების) სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებას.

➢ **შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური** - 166.160 ლარი;დაწეებულებას მომავალი წლისათვის როგორც წინა წლებში დაგეგმილი აქვს საკუთარი შემოსავლები .2026წლისატვის მისი ოდენობა განოსაზღვრება 46.250ლარით.აღნისნული გადანაწილებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებში.

➢ ***პროგრამული კოდი-02.03.-მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები - 8.401.108 ლარი; (2025 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტის შესაბამის სფეროს 17438483ლართან მიმართებაში 52 %-აით კლებაშია)***

განხორციელედება შემდეგი პროექტები:

- **ქ. ქობულეთი, მეგობრობის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია** გათვალისწინებულია -747.670ლარით; აღნიშნული სკვერი მდებარეობს სანაპირო ზოლის ბულვარის მიმდებარედ და საჭიროების ბულვარის შესაბამისად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. პროექტი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელდება.
- **ქალაქ ქობულეთში, ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა (I ეტაპი)** -ამ მიზნით დაგეგმილია 761. 794 ლარი; გარდამავალი 2025 წ-2026 წლის პროექტი. სრულდება 2026 წლის აპრილში აღნიშნული პროექტი დამინუსებული წინა წლის ფაქტიური მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით.(რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსდება)
- **ქ. ქობულეთში, გელაურის დასახლებაში, კაიკაციშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის** სამუშაოების („შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“, მოპოვებული ევროკავშირისა და Interreg NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების გრანტის ფარგლებში)ქ. განსახორციელებლად დაგეგმილია სულ 300 000 ლარი.
- **ქ. ქობულეთში გელაურის დასახლებაში ჩოგბურთის მოედნის მოწყობა** - 120 000 ლარითაა განსაზღვრული. პროექტი დასრულდება მომავალი წლის აპრილში (პროექტის ღირებულება დამინუსებულია მ/წლის სავარაუდო ათვისების შესაბამისად)პროექტის დაფინანსება კვლავ რესპუბლიკური ბიუჯეტით გაგრძელდება.
- **ქ. ქობულეთში, ლესელიძის N1-ში სკვერის რეაბილიტაცია** -- დაგეგმილია 1.525.870 ლარით; გარდამავალი 2025-2026 წლის პროექტი (პროექტის ღირებულება დამინუსებულია მ/წლის სავარაუდო ათვისების შესაბამისად) რესპუბლიკური ბიუჯეტი.
- **ქობულეთის ცენტრალური მოედნის მოდერნიზაცია** - დაიგეგმა 4.945.774 ლარის ფარგლებში;გარდამავალი 2025-2026 წლის პროექტი (პროექტის ღირებულება დამინუსებულია მ/წლის სავარაუდო ათვისების შესაბამისად) რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებშია გათვალისწინებული.

- **საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა** -- 250.000 ლარით განისაზღვრა;.აქედან 100.000 ლარი დაფინანსდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში.
- **აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი** --12 000 ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპირფარეშოების მშენებლობა/რეაბილიტაციისატვის გათვალისწინებულია 300.000 ლარი;
- **მუნიციპალიტეტის სასოფლო ცენტრების მოწყობის სამუშაოებისათვის** ჯამურად დაიხარჯება - 2.428.480 ლარი; (მოეწყობა სოფელი აჭის, დაბა ოჩხამურისა და სოფელი ხუცუბნის სასოფლო ცენტრები)

➢ პროგრამული კოდი- 03.00 დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 11.314.600 ლარი;

2025 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 3.661.455 ლარით და რაც 47,8% იანი ზრდის შესაბამისია. **მათ შორის:**

✓ პროგრამული კოდი 03.01.--მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები- 9.042.500 ლარი მათ შორის:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, ქუჩის მაწანწალა ცხოველების მოვლა და ზედამხედველობა.

- დასუფთავების ღონისძიებები გათვალისწინებულია - 85 000 ლარი; (2025 წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში ტოლია)
- **ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება** - 6.197.500 ლარი;(484.120 ლარით მეტი 2025 წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან 5 713 380 მიმართებაში .ზრდაა 8,5%)
- **სანაგვე კონტეინერების შეძენა (400 ერთეული)** -გათვალისწინებულია 260.000 ლარით;სანაგვე კონტეინერები მუდმივად საჭიროებენ განახლებას, ვინაიდან ადვილად განიცდიან ცვეთას. (რესპუბლიკური ბიუჯეტი)
- **სპეცტექნიკის შეძენა** -გათვალისწინებულია 2.000.000 ლარით; რესპუბლიკური ბიუჯეტით. (3 ერთეული ნაგავმზიდი, 2 ერთეული ჯი-სი-პი, 1 ერთეული ბობკატი, ცხელი წყლის ჭავლი მობილური გადადგილებისათვის)
- **ორი ერთეული მიკროავტობუსის შეძენა** - გათვალისწინებულია 500.000 ლარით. რესპუბლიკური ბიუჯეტით. (ქუჩების დაგვა დასუფთავების მიზნით მობილური ჯგუფების გადასაადგილებლად საჭიროა ტრანსპორტის შეძენა)

➢ პროგრამის კოდი 03.02. გარემოს დაცვა - 2.272.100 ლარი (417335 ლარით მეტი 2025 წლის შესაბამისი ქვეპროგრამის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში)

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ძირითადად იმ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნარგავები ,რომლებიც არსებულ სკვერებსა და პარკებშია განთავსებული.

- **ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება** - 1.258.800 ლარი;(306135 ლარით მეტი 2025 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან 952 665 ლართან მიმართებაში)

- **ა(ა)იპ ქობულეთის პარკი** - 1.013.300 ლარი;(111200 ლარით მეტი 2025 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან 902 100 ლართან მიმართებაში)დაქვემდებარებულ დაწესებულებას გააჩნია აგრეთვე საკუთარი შემოსავლებიც ვინაიდან სეზონურად იჯარით გასცემს მიწის წაკვეთებს, ასევე შენობა ნაგებობებს იჯარის სარგებლობის უფლებით, 2026 წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის სავარაუდო შემოსავალი მ.შ. მიწის იჯარა 32000 ლარით განისაზღვრა , შეწობა წაგებობის ქირავნობა 9900 ლარით .იგი გადანაწილებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა კოდებში კერძოდ საოფისე ავეჯის შეძენისა და არაფინანსური აქტივების მუხლში 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერის შესაძენად და ერთი ერთეული ნოუთბუქის შესაძენად .

➢ პროგრამული კოდი - 04.00. განათლების ხელშეწყობა- 13.332.837 ლარი,

2025 წლის შესაბამისი პერიოდის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელს 11775474ლარს 1.557.363 ლარით აღემატება. . ამავე დროს:

- **ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხარჯები** განისაზღვრა - 11.567.500 ლარით; (გასული წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში ზრდადია 207.974 ლარით)
  - **ჩაისუბნში არსებული საბავშვო ბაღის შენობის გამაგრება/ რეაბილიტაცია** - ბიუჯეტით დაანგარიშებულია - 265.337 ლარით; .(რესპუბლიკური ბიუჯეტი.)
  - **საბავშო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები** - ბიუჯეტით დაანგარიშებულია - 1.500.000ლარით; განხორციელდება არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადმოცემული კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში..

➢ პროგრამული კოდი 05.00.- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 7 500 822ლარი მათ შორის:

2025 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან 8.490.653 ლარი შედარებით აღნიშნული სფერო შემცირებულია 11,6 % ით. გათვალისწინებული ქვეპროგრამები.

➢ *პროგრამული კოდი 05.01.- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2 .609.122 ლარი;*

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა, პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა, გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური *ჯილდოთი.*

- . **ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა** - 859. 500 ლარი; (9,2 %ზრდა)
- **სპორტული ღონისძიებების** დაფინანსება დაგეგმილია - 250.000 ლარით; (6,4% ზრდა) .
- სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა -956.704 ლარი; (29,7 %ზრდა 279474ლარი) კლუბის სუბსიდირება მოიცავს როგორც ვიცით ქობულეთისა და დაბა ჩაქვის სარაგბო საკლუბო გუნდების ხარჯებს,მის აქტივობებში მონაწილეობისა და ფუნქციონირების ხარჯებს.

- რუსთაველის N174-ში სტადიონის მიმდინარე მოვლა-შენახვის ხარჯი --251718 ლარი;
- შპს ქობულეთის სტადიონი - სუბსიდირება განისაზღვრა 291200 ლარით; გასული წლის შესაბამისის პერიოდის ბიუჯეტის იდენტურია. ამავე დროს ორგანიზაცაის გააჩნია საკუთარი შემოსულობებიც რომლის საპროგნოზო ოდენობა ორგანიზაციის ინფორმაციით განისაზღვრა 121500 ლარით; რომლებიც გადანაწილებულია ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებში.მათ შორის არაფინანსური აქტივის მუხლში 80.000 ლარი ერთი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანის შესაძენად.

➢ **პროგრამული კოდი 05.02.-კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4 891 700 ლარი;**

- პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერას, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- **ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლების"** – 1.131.500 ლარი;(10% ზრდა)
- **ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი** - 1. 521. 000 ლარი; (10,6 % ზრდა)
- **გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრულის"'** – 1.083.400 ლარი; (6,4 %ზრდა)
- **ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი** - 499.600ლარი; (ზრდა 8,3 %)
- **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 155000 ლარი;** ქვეპროგრამის ფარგლებში სულ დაგეგმილია 9 ერთეული .შენარცუნებულია თითქმის ყველა მიმდინარე პროგრამული ღონისძიებები,როგორიცაა: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა (9 აპრილი, 26 მაისი);გურამ თამაზაშვილის სახელობის ქართული ხალხური და ქართველი კომპოზიტორების კონკურს-ფესტივალი,პედაგოგის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება , 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის დღე,საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, გენდერული თანასწორობის, ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერება და სხვა საკითხებზე,რა? სად? როდის?; დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო,ახალი წლის დღეები.

- **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** - 68.800 ლარი;

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში თანხები მიმართულია ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაში " -მონაწილეობის მიღებისათვის 3 დღის განმავლობაში; აგრო-სასურსათო გამოფენაში - მონაწილეობისათვის აგრო პროდუქტებით, ტკბილეულით უზრუნველყოფა 3 დღის განმავლობაში. ტურიზმის სარეკლამო მასალების დამზადებისათვის - სარეკლამო ბეჭდური მასალები, სუვენირები, სასაჩუქრე ჩანთები; ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია მონასტრების, მშენებარე ტაძრების,ჯამეების, ციხე სიმაგრეები, თაღოვანი ხიდების, მემორიალური დაფების, საძმო სასაფლაოების, კულტურული ძეგლების, არსებული მოზაიკის, ძველი საუკუნოვანი სახლების; ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების, საოჯახო სახლების, კვების ობიექტების, გასართობი ობიექტების, საბავშვო ცენტრების, საკონდიტროების, ღვინის მარნების და მაღაზიების. მეფუტკრეების მოძიებასა და , დასურათება აღწერა და პასპორტიზაციის განსახორციელებლად;

- **წარმატებულ სტუდენტთა წახალისება** - 332400 ლარი;(ზრდა 6,7%)

ქვეპროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო და საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს ოქროს ან ვერცხლის მედალზე, ერთჯერადად გადაეცემათ ფულადი პრემია, ოქროს მედლის შემთხვევაში 500 (ხუთასი) ლარი ერთ მოსწავლეზე. ვერცხლის მედლის შემთხვევაში 300 (სამასი) ლარი ერთ მოსწავლეზე. რაც შეეხება წარმატებულ სტუდენტთა წახალისების მიზნით გასაცემი თანხის ოდენობებს შენარჩუნებულია გასული წლის ოდენობები პროგრამა დააფინანსებს გარდა 100% იანი გრანტისა ერთიან ეროვნულ გამოცდებში 70% იანი და 50%იანი გრანტის მქონე სტუდენტებსაც შესაბამისად 2000ლარი,1000 ლარი და 500 ლარის ოდენობით. ხოლო რაც შეეხება უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერად ფინანსურ ხელშეწყობას ,რაც ერთ სტუდენტზე 3000 ლარის ოდენობით შემოიფარგლება ხოლო გაცვლითი პროგრამებით მოსარგებლე სტუდენტებზე 1500 ლარი; ამავე დროს კვლავ გაგარძელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების (სტუდენტების) ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა-ნინო ჯავახიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის სახელობის სტიპენდიის გაცემა გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებზე.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება** 100.000 ლარი; აღნიშნული ქვეპროგრამა როგორც ვიცით, უკვე მოიცავს ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსების საკითხს ;ასევე, პროგრამით გაგრძელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

➢ პროგრამული კოდი-06.00. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 16.790.950 ლარი:

2025 წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან 8. 642.300 ლარი შედარებით გაზრდილია 8.148.650 ლარით . ზრდა გამოიხატება როგორც ჯანდაცვის ასევე სოციალური პროგრამების მიმართულებით.

➢ პროგრამული კოდი -06.01.--ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები - 3.063.600 ლარი; (ზრდა 10,1 %)

პროგრამები ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობასა და მოსახლეობის სოციალური დაცვას. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას ჯანმრთელობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით .

კერძოდ გათვალისწინებულია ჯანდაცვის სფეროს შემდეგი პროგრამები:

- **იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 23.000 ლარი; (2025 წლის მაჩვენებელს 8500ლარით აღემატება.)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა რომლებიც გასულ წელთან მიმართებაში მზარდია თანხობრივად 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 2 ბენეფიციარს 3000 ლარის ოდენობით(ნაცვლად 2000 ლარისა), 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბენეფიციარს 1500 ლარის ოდენობით(ნაცვლად 1000 ლარისა), 18 წლის ზემოთ ასაკის გლუტეინის ავადმყოფობით, ცელიაკიით დაავადებულ 5 ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით(ნაცვლად 500 ლარისა), 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ 4 პირზე 1500 ლარის ოდენობით.(ნაცვლად 1000 ლარისა)

- **თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის დახმარებვის პროგრამა -187 200 ლარი;(2025 წლის მაჩვენებლის ტოლია)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ორი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 100 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და

მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.

- **სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა- 800 000 ლარი; (14% ზრდა 2025წლის თავდაპირველ ბიუჯეტთან მიმართებაში)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარებისათვის იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც ნაწილობრივ ან /არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით.

- **ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი - 1.253.400 ლარი;** ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობას,კერძოდ: ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

2. ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებას: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებასა და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფას .

3.მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერას:

ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა და ასევე 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მხცოვანი (80 წლის და მეტი) მწოლიარე ბენეფიციარების უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით;

ბ) მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიშით, რომელიც ,,ტეტრაპარეზი"-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან.

გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.

- **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა - 800 000 ლარი;**

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურეობა გაეწევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; ომის ვეტერანებს; ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს და მარტოხელა ასაკით პენსიონერებს. აღნიშნული ბენეფიციარები წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით.(ფინანსდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი სპეციალური ტრანსფერით)

- **პროგრამული მკოდი 06.02.-- სოციალური დაცვის ღონისძიებები - 13.727.350 ლარი; (ზრდა 7.867.550 ლარი)**

- **ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების პროგრამა - 37.000 ლარით განისაზღვრა ;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას.2025 წელთან შედარებით, გაიზარდა II მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, 2008 წლის აგვისტოს ომში, ავღანეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მეომრების ოჯახებზე და ბრძოლაში დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანებზე გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარების ოდენობა 500 ლარიდან 1000 ლარამდე.

- **დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა - 18000ლარი;**

- ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლი 9 დედმამით ობოლი ბავშვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმამარებას თვეში 200 ლარის ოდენობით.(ნაცვლად 100 ლარისა)

- **მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა - 523.350 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის (სოციალურად დაუცველი ფენის- სარეიტინგო ქულა 0-დან 100 001-მდე, მარტოხელა პენსიონერი, დედ-მამითობოლი ბავშვი, უსახლკარო, შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი) ბენეფიციარის უზრუნველყოფას კვირასი 7 ჯერ წელიწადში 365 დღე ცხელი საკვებით. 2026 წელს ქვეპროგრამაში ჩართული იქნება 400 ბენეფიციარი.

- **ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების პროგრამა- 50 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. ქვეპროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახები, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახები და ასევე 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახები.

- **მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 70 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1000 ლარი.

- **მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა - 280000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმამარებას თითოეულ ბავშვზე თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების ზრდისა და განვითარებისთვის.

- **გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 50 000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა (სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადად დახმარებას 600 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამაში ასევე, გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაკრძალვა ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას.

- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 100.000 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას, 1500 ლარის ოდენობით.
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები), რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით.

- **ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა - 10.816.500 ლარი.** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული, ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობის გაგრძელებასს.

- **სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება 1.546.300 ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, როგორც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ასევე, ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას.(ფინანსდება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი სპეციალური ტრანსფერით)

- **"საქმიანობათა ცენტრი ქობულეთის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" --** ქვეპროგრამა აითვალისწინებს:

1. სასოფლო და საქალაქო თემის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით.

2. თემის მედეგობის გაძლიერება ყოველდღიურ უბედურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

3. ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის.

- **მოწყვლადი სოციალური კატეგორიების ბენეფიციართა მატერიალური დახმარება - ქვეპროგრამის ბიუჯეტია 210 000 ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებს**

1. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 80 ლარით,

ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე 150 ლარით;

2. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 001- მდე სარეიტინგო ქულის მქონე შშმ ბავშვთა და ფსიქოსომატური აბილიტაცია/ რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ბენეფიციარებისერთჯერად მატერიალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

- ***<u>მმართველობა - 11.078.791 ლარი, მათ შორის:</u>***
- მუნიციპალიტეტის საკრებულო- 1.848.500 ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 7.429.016 ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 300.000 ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა 952.475 ლარი, მათ შორის ძირი 790.009 ლარი და პროცენტი - 162.376ლარი;
- დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი- 115100 ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 5000 ლარი;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა 50 000 ლარი;
- „შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“, მოპოვებული ევროკავშირისა და Interreg NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების გრანტი -- 378.700ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2026 წლის გეგმა
	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	**98.156.900**
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,848,500
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	7,429,016
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1,801,275
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300,000
01 02 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა	952,475
01 02 03	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	115,100
01 02 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,000

01 02 05	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	50,000
0 102 07	„შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“, მოპოვებული ევროკავშირისა და Interreg NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების გრანტი	378700
02 01	***საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა***	**13,123,079**
02 01 01 01	ქ. ქობულეთში, ბაგრატიონის ქუჩის (გაგრძელება) კეთილმოწყობა	1 104 162
02 01 01 02	ქ. ქობულეთში გზებზე ასფალტის საფარის ორმული შეკეთება	60 000
02 01 01 03	საგზაო მონიშვნები	40 000
02 01 01 04	ქ. ქობულეთში, თბილისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	290.650
02 01 01 05	ვიდეო-კამერების ექსპლოატაცია	405.200
02 01 01 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა	2.500.000
02 01 01 07	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერისა და საგზაო ნიშნების მოწყობა	150.000
02 01 01 10	ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N530-ის მიმდებარედ გადასასვლელის კეთილმოწყობა	230.572
02 01 01 12	ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირის N86-ის მიმდებარედ გზის გამყოფისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	549.855
02 01 01 14	დაბა ჩაქვში, ნინოშვილის ქუჩა N-10-ში ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	85.540
02 01 03	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნება	50.000
02 01 04	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა	1.832.500
02 01 05 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1.550.000
02 01 05 03	ქ. ქობულეთში,ზღვისპირა ზოლში გარე განათების ბოძების მოწყობა („ ჯორჯია პალასიდან“ სასტუმრო „ივერიამდე“)	274.600
02 01 06	ქ. ქობულეთში,ზღვისპირა ზოლში გარე განათების ბოძების მოწყობა („ ჯორჯია პალასიდან“ სასტუმრო „ივერიამდე“)	4.000.000
02 02	***კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია***	***13,624,233***
02 02 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	1.268.550
02 02 02 01 01	სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა	1.800.000
02 02 02 01 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და სასმელი წყლის მოწყობა/რეაბილიტაცია	3.939.493
02 02 02 01 03	ქ. ქობულეთში წყალარინების მე-3 სატუმბი სადგურისათვის ჩაძირული ფეკალური ტუმბოს (3 ერთეული) შეძენა მონტაჟი	171.600
02 02 02 02	შპს "ქობულეთის წყალი"	1.823.376
02 02 02 03	ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი "	2.607.300

02 02 03 01	ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა	1.641.754
02 02 03 02	ქ. ქობულეთში სანიაღვრე სისტემის სატუმბი სადგურისათვის დიზელ-გენერატორის შეძენა-მონტაჟი	106.000
02 02 03 03	სანიაღვრე მილების შეძენა	50.000
02 02 04	**უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი**	**50.000**
02 02 05	**შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური**	**166.160**
02 03	***მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები***	***11,391,588***
02 03 01 02	ქ. ქობულეთი, მეგობრობის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაცია	747.670
02 03 01 11	ქალაქ ქობულეთში, ახალი სანაპირო ზოლის (ზღვისპირა პარკი) მოწყობა (I ეტაპი)	761.794
02 03 01 12	ქ. ქობულეთში, გელაურის დასახლებაში, კაიკაციშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები („შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“, მოპოვებული ევროკავშირისა და Interreg NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების გრანტის ფარგლებში)	300.000
02 03 01 13	ქ. ქობულეთში გელაურის დასახლებაში ჩოგბურთის მოედნის მოწყობა	120.000
02 03 01 20	ქ. ქობულეთში, ლესელიძის N1-ში სკვერის რეაბილიტაცია	1.525.870
02 03 01 26	ქობულეთის ცენტრალური მოედნის მოდერნიზაცია	4.945.774
02 03 03	**საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა**	**250.000**
02 03 04	**აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი**	**12.000**
02 03 05	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა**	**2.428.480**
02 03 15	**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპირფარეშოების მშენებლობა/რეაბილიტაცია**	**300.000**
03 00	***დასუფთავება და გარემოს დაცვა***	***11.314.600***
03 01 01	დასუფთავების ღონისძიებები	85,000
03 01 02	ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება	6,197.500
03 01 03	სანაგვე კონტეინერების შეძენა (400 ერთეული)	260.000
03 01 05	სპეცტექნიკის შეძენა	2.000.000
03 01 07	ორი ერთეული მიკროავტობუსის შეძენა	500.000
03 02 01	ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება	1.258.800
03 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	1.013.300
04. 00	***განათლების ხელშეწყობა***	***13.332.837***
04 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	11.567.500
04 01 02 07	ჩაისუბნში არსებული საბავშვო ბაღის შენობის გამაგრება/ რეაბილიტაცია	265.337
04 01 02 08	საბავშო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები	1.500.000
05. 00	***კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები***	***7,500,822***
05 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	859.500
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	250.000
05 01 03	სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა	956.704

05 01 04 01	რუსთაველის N174-ში სტადიონის მიმდინარე მოვლა-შენახვის ხარჯი	251,718
05 01 05	შპს ქობულეთის სტადიონი	291.200
05 02 01	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	1.131.500
05 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	1.521.000
05 02 03	გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'	1.083.400
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	155.000
05 02 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	68.800
05 02 06	ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	499.600
05 02 07	წარმატებულ სტუდენტთა წახალისება	332.400
05 02 09	ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება	100.000
06 00	***მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა***	***16,790,950***
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	23.000
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	187,200
06 01 03	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	800,000
06 01 04	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	1.253.400
06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	800,000
06 02 01	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	37.000
06 02 02	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	18,000
06 02 05	მუნიციპალური უფასო სასადილო	523.350
06 02 06	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	50,000
06 02 07	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	70,000
06 02 08	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	280.000
06 02 09	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	50,000
06 02 10	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	100.000
06 02 13	ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა (ფადიკო გოგიტიძის) N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა	10.816.500
06 02 14	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება	1,546,300
06 02 15	"საქმიანობათა ცენტრი ქობულეთის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის"	26.200
06 02 16	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	210.000

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთოდანიშნულების სახელმწიფო მომსახურება --10.288.692 ლარი; (10,6% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *ეკონომიკურისაქმიანობა - 11.298.479 ლარი; (11,6% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *გარემოს დაცვა - 10.840.254 ლარი; (11,1% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *საბინაო-კომუნალურიმეურნეობა - 26.301.467 ლარი; (27% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *ჯანმრთელობისდაცვა - 3.063.600 ლარი; (3,2% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *დასვენება, კულტურადარელიგია - 6.523.122 ლარი; (6,7% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *განათლება - 15.323.837 ლარი; (15,7% მთლიანი ბიუჯეტის)*
- *სოციალური დაცვა - 13.727.350 ლარი; (14,1% მთლიანი ბიუჯეტის)*
-

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
2. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ბ) წლიური ბიუჯეტის პროექტი ასახავს ქვეყანაში არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი